F343
1992

ISSN 0132—5965

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 6 ივნისი 1992 წ.

ჯილაგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 ივნისი-ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

აღდგომიდან მე-40 დღეს ქრისტე გამოეცხადა მოციქულებს, დამოძღვრა ისინი, აღუთქვა, რომ სულიწმინდა გადმოვიდოდა მათზე, მოანიჭებდა მადლს, და ეშმაკის დათრგუნვის ძალას. ამის შემდეგ ბეთანიას გაიხმო ყველა, აკურთხა ისინი, და მათ წინაშე ზეცად ამაღლდა ზეთისხილის მთაზე.

იერუსალიმის თემის თავმჯდომარის წერილი რომის სენატისადმი:

ჩვენს დროში გამოჩნდა უდიდესი სათნოების ადამიანი, სახელად ქრისტე იესო... ის ტანმაღალია, მშვენიერი, აქვს კეთილშობილური სახე. ისე რომ, ვინც მას უყურებს, ერთდროულად სიყვარული და შიში იპყრობს. აქვს ღვინისფერი, თაფლისფერი დატალღული თმა, რომელიც მხრებზე დაცემისას ბზინავს. ნაზარეველთა ჩვეულებრივ შუაზე აქვს გაყოფილი. შუბლი სუფთა და სწორი აქვს. სახეზე კი არც ერთი ლაქა და ნაოჭი არ ატყვია, არამედ ვარდისფერი დაჰკრავს. ცხვირპირი უნაკლო სილამაზისა აქვს: წვერი ხშირი და ფართე, შედარებით მოკლე, ისიც შუაზე ორად გაყოფილი. თვალები ცისფერი და ძალიან ნათელი. ის შიშის მომგვრელია, როცა კიცხავს და სიყვარულით აღსავსე, როდესაც შეაგონებს. მხიარულია, მაგრამ ღირსებას ყოველთვის ინარჩუნებს. ის არასდროს უნახავთ მომცინარე, არამედ მტირალი. ტანი და ხელ-ფეხი იერით მშვენიერი აქვს. საუბრის დროს სერიოზულია, თავმდაბალი და ზომიერი. ის უმშვენიერესია კაცთა მოდგმაში.

ვეფხისტყაოსანი

შოთა რუსთაველი. «ვეფხისტყაოსანი». ეს სახელი, ეს სიტყვა ყველა ქართველისათვის ძვირფასი და საამაყოა. იმიტომ რომ, მოკიდებული თამარ მეფის დროიდან, როცა რუსთაველმა «ვეფხისტყაოსანი» დაწერა, ყველა უმძიმესი განსაცდელის დაძლევაში ეს წიგნიც ეხმარებოდა ქართველებს. ზოგს, ძალიან ცოტა ვინმეს, ხელით გადაწერილი «ვეფხისტყაოსანი» ჰქონდა უმდიდრეს განძად, ზოგს მხოლოდ გულით დაჰქონდა მისი სიყვარული. სად იყო მაშინ დაბეჭდილი წიგნი! ეს არის, რომ ხალხში ბევრმა ზეპირად იცოდა მთელი პოემა და შვილებს, შვილიშვილებს უკითხავდა, უკითხავდა... უკითხავდა და «ვეფხისტყაოსნით» უმტკიცებდა სიყვარულის, მეგობრობის, გატანის, კაცთმოყვარეობის, სიამაყის გრძნობებს.

ამიტომ იყო, რომ საქართველოს მტრები ისევე სწვავდნენ «ვეფხისტყაოსანს», თუკი სადმე წააწყდებოდნენ, როგორც ვაზსა სჩეხავდნენ, ტყესა კაფავდნენ ჩვენს მიწაზე; მიზანი კი ერთი ჰქონდათ — გაეუსახურებინათ საქართველო, დაეძაბუნებინათ ფიზიკურადაც და სულიერადაც, რომ უფრო იოლად დაემორჩილებინათ.

მაგრამ წიგნი შეიძლება დახიო ან დაწვა, გულს და გონებას კი რას უზამ! სანამ პირში სული ედგა თუნდაც ერთ ქართველს, სანამ გული უძგერდა და გონება უჭრიდა, «ვეფხისტყაოსანი» ცოცხლობდა.

და აი, XVIII საუკუნეში, ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის მეფობის დროს, მაშინ, როცა საქართველოში პირველი სტამბა დაარსდა, «ვეფხისტყაოსანი» პირველად დაიბეჭდა სტამბური წესით და გამრავლდა. ეს იყო 1712 წელს, 280 წლის წინათ. იმ, პირველ გამოცემას, საქართველოში «ვახტანგისეულ «ვეფხისტყაოსანს» ვეძახით, და თუმცა მას შემდეგ მრავალჯერ (და მრავალ ენაზეც) დაბეჭდილა «ვეფხისტყაოსანი», ის გამოცემა მაინც განსაკუთრებით სასიყვარულოდ და საბედნიეროდ მიაჩნია ქართველის გულს.

ამ თარიღის აღსანიშნავად, ჩვენ გვინდა დავიწყოთ «ვეფხისტყაოსნის» თითო-ორ-ორი სტროფის ბეჭდვა «დილის» ყოველ ნომერში, რათა ბავშვებმა ზეპირად დაისწავლონ, გულით და გონებით თან ატარონ ჩვენი უკვდავი, ჩვენი საამაყო «ვეფხისტყაოსანი».

მაშინ მტერი ვერასდროს ვერაფერს დაგვაკლებს. გარწმუნებთ!

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი ვასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი,
ბოლოთ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოემე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ერთი ჩუმი, მართალი, სიკეთით სავსე შემოქმედი, ფუტკარივით მშრომელი, დიდებული მოქართულე — ბავშვო მწერალი. უყვარს, დაჰხარის და დაჰფოფინებს მშობლიურ ქართულ სიტყვას. ქვეყნის დარდსა და სატკივარზე ჩუმად წუხს და დარდობს. მის ნაწარმოებებში შეიგრძნობა, როგორ უჭირს თუ ულხინს ქვეყანას, რა ცეცხლი და დელგმა გამოუვლია მის ხალხს არსებობის მანძილზე.

იცის მშობლიური მიწის მადლი და ფასი. ამიტომაა მისი სიტყვა ალაზნის ველივით სავსე, ტკვდი და ლამაზი. ამიტომ ჩანს მის მოთხრობებში მიწის მადლი და ბარაქა. იგი ერთგული წიქარასავით ემსახურება ახალი თაობების აღზრდას, სიკეთეს თესავს, სიცოცხლის სიხარულს ამკვიდრებს. ბავშვებისათვის ასე რომ წერო, ბავშვივით გული უნდა გქონდეს.

დიდხანს იცოცხლე, ბავშვის გულიანო საყვარელო მწერალო კაცო. ქართული სიტყვისა და მიწის სურნელი, მადლი და ბარაქა ნუ მოჰკლებოდეს შენს კალამს, მრავალ, მრავალ წელს.

ლაჟვარდოვან ცაზე ქარი ღრუბლებს მიერეკება. ღრუბლის ჩრდილები მთის კალთებს ფარა-ფარა გადადიან. კლდეებს ანაცრისფერებენ. უჩინარდებიან ღრმა ხეობებში. მაგრამ იქ დიდხანს არ შეუძლიათ გაჩერება, ამოდიან ზევით და ღრუბლებთან ერთად მთის მწვერვალებისაკენ ისწრაფვიან. ხეტიალით მოღლილი ღრუბლები შემოეხვევიან მთას და ქარს აღარ ემორჩილებიან, გული მოსდით, რამდენი გვაწანწალაო, იღუშებიან.

მთლად შავად ჩაქუფრულებს მთა ფიქრიანად შესცქერით, ვაი თუ ღვართქაფად იქცნენ და რაც ცოცხალი არსება შემომკედლებია, წალეკონ, სული გაფრთხობინონო. ამ დროს მთაც შუბლს იკრავს, მკაცრი და მიუვალი ხდება.

კიდევ კარგი, რომელიღაც ხეობიდან ნიავი ამოვარდება, დაუბერავს მთის კალთებს, ღრუბლებს მიაწყდება, აშლის, ასწეწავს, თორემ მთას გუნებას რა გამოუსწორებს.

— ბარს გვალვა დაპატრონებია, ლამის მიწა ამოახმოს, რა ღმერთი გაგწყრომიათ, აქ რას დაყუდებულხართ უსაქმურად, გატყობთ, თქვენი ვალი დაგვიწყებიათო, — დაუსისინებს ნიავი ღრუბლებს.

ღრუბლები ამაყები არიან, გოროზები. უარესად იღუშებიან, აიფოფრებიან ფაფარაშლილი თეთრი რაშებივით, აიზიდებიან ზევით და ზევით. იმხელები ხდებიან, მთა მათთან სათამაშო გეგონებათ. გულგასიებულები და დამძიმებულები დაიძვრებიან ბარისაკენ, ერთმანეთს შეეხლებიან და აქუხდებიან. მიწას თვალის მომჭრელი ელვა ჩამოაწყდება.

წამოვა წვიმა. ჯერ წვეთ-წვეთად, ტყაპა-ტყუპით, მერე მოხშირდება, ბოლოს ძაფებივით გაებმება ცასა და მიწას შორის, წვიმა რასაც ეცემა, ხმას გამოსცემს, ეს ხმები სხვადასხვანაირია, ზოგი სუსტი, ზოგი ძლიერი. მაგრამ ერთად შიშისმომგვრელია და ხმაურიანი.

ციდან წამოსულ წვიმას პირველად ჰაერში მონავარდე ფრინველები ეგებებიან, სიხარულით წივიან მქროლავი, ფრთამალი ნამგალები, წვიმის წვრილ წვეთებს ჭიკჭიკით მხრებს უშვერენ მერცხლები, მოდის წვიმა და ისინიც თან მოსდევენ, ქვევით, ბუდეებისკენ მოიჩქარიან, რომ ავდრით დამფრთხალ ბარტყებს გადაეფარონ და დაამშვიდონ.

წვიმის მოახლოება ადრევე იგრძნეს მწერებმა, სკებს სწრაფად მიაშურეს ფუტკრებმა. ხმა ჩაუწყდათ გვალვით გახალისებულ ჭრიჭინებს, სადღაც მიიმალნენ კუტკაღლიები. ძღივს მოასწრეს ფოთლებქვეშ შეფარება ფრთებდასველებულმა ჭრელმა პეპლებმა, ცის ჭექა-ქუხილისა და წვიმის თქმეშისაგან ატეხილ ხმაურს ჩუმად უსმენენ გაუვალ ბარდებში თუ ხის ფუღუროებში შეყუჟული ტყის ფრინველები და ცხოველები.

შვებით ამოისუნთქა გვალვისაგან მოთენთილმა, მზედაკრულმა ტყემ. წვიმამ დაასველა და უმალ სხვანაირი იერი დაიდო, უფრო გამწვანდა, გადაბიბინდა. ხეებს ცისკენ ტოტები გაუწვდათ. არც ერთ წვეთს არ უშვებენ ქვევით, ისუტაკენ ფოთლები, ირხევიან, თრთიან და სიამოვნებით ბანაობენ წვიმაში. კარგად რომ დასველდებიან, ქვევით წყურვილისაგან შეწუხებული ბუჩქებისა და ტყის ბალახებისაკენ უთმობენ გზას წვიმას.

ნიავის ქროლვას აჰყვნენ მინდვრის ყვავილები. სიცხით მოთენთილი თავლები ასწიეს, წვიმას შეუშვირეს, ღრუბლებით ჩამობნელებულ ცას შეპღიმეს, ფოთლებზე დადებული ყვითელი მტვერი და ზედ შეცოცებული მღილები ჩამორეცხეს, შვებით ამოისუნთქეს, გარშემო საამური სურნელება დაეკმიეს.

წვიმამ ჯან-ღონე შემატა წყაროებს — იმატეს, უფრო ხალისიანად ალიკლიკდნენ. ვეღარ გამძღარიყო დაგვალული მიწის თავალი და გული. ყავარ-ყავარ დამსკდარი ნიადაგი სულმოუთქმელად ყლაპავდა წყალს და დახარბებული კვლავ ცას შეჰყურებდა.

წვიმდა მთელი დღე, ქუხდა და დგანდგარებდა ზეცა. საღამო ხანს ძღივს გადაეკარა. დაპბერა ქარმა, ცას ნაპრალები გაუჩნდა, ღრუბლები დათავთავდნენ. დასავლეთით მზემ გამოანათა, მიდამოს თაღმაღალმა, შვიდფერა ცისარტყელამ გადმოხედა.

წვიმისაგან დაცლილმა ღრუბლებმა ისევ მთას მიაშურეს. ოო, რა უმწეონი ჩანდნენ, მათი სიპირქუშე სადღაც გამქრალიყო, ადარც მთას ეტყობოდა სიმკაცრე და მოუვალობა — მეფიდურსა და ლამაზს თავზე მზის სხივებით მოოქროვილი უმშვენიერესი ღრუბლის გვირგვინი დაედგა.

შვებით სუნთქავდა წვიმით გაბანილი, გამძღარი მიწა.

მხატვარი **ლალი ლომთაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლისკენ მივეჩქარებით

ავთანდილ მეგრელიშვილი

ქალაქში სუნთქვა გაჭირდა,
სოფლისკენ მივეჩქარებით.
გაგვაგრილებენ წყარონი
და ჩანჩქერები ჩქარები.
გველოდებიან ტყეები
საამო ნიავქარებით.
შეგვხვდება ტბილი გალობით
ფრინველით სავსე ჭალები.
გველიან ტოლ-მეგობრები,
ბერიკაცები, ქალები,
ლხენით ავსილი დღეები
და ღამეები წუნარები.
ღია აქვთ ბიძა-ბიცოლების
სახლის და გულის კარები.
ვალში არც ჩვენ არ დავრჩებით, —
შრომაში მივეხმარებით!

ბებო ანას პურის ყანა

სოფლად ვართ ბებო ანასთან,
გავცქერით ჰურის ყანასა.
ზღვასავით ღელავს, ნარნარებს,
ქარი უძღერის ნანასა,
ბებია ამბობს: — თავთუხებს
რომ უმზერთ ყელყარყარასა,
სულ ჩემი მოწეულია, —
შეარგოს ჩვენს ქვეყანასა!

მხატვარი **ლალი ლომთაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ფუნჯის მოსმის დროს ჰქონდა რაღაც ჯადო-თილისმა“...

აქ, ამ ქუჩებში დადიოდა როგორც სიზმარი, (საქართველოს ცას აქ ეტრფოდა მისი ოცნება), ჩამოხეული, ტანმაღალი, მარად ხიზანი, მარტოდენ გული და ბაჯაღლო პატიოსნება.

მხატვარი ნიკო ფიროსმანი

ალექსანდრე ეგანოიძე

...სიყმაწვილეში დატოვა მშობლიური სოფელი კახეთში და ტფილისს მოადგა. ბორნით გადმოსცურა მღვრიე მტკვარი, აღმართს აუყვა...

სოფლელი ყმაწვილის სული ჩუმი იყო, მგრძნობიარე და ფაქიზი. ქალაქი კი ხმაურიანი, მკაფიო და უხეში, და იგი, ვით ცვილზე, აღიბეჭდა ყმაწვილის სულზე.

ყოველი ახალი შთაბეჭდილებისაგან სული უკრთოდა, როგორც თვალის გუგა ელვისაგან, და გულმკერდი სტკიოდა, და ამ ტკივილის შემსუბუქების ერთადერთი ხერხი იცოდა — შთაბეჭდილება სურათზე უნდა გადაეტანა, ესე იგი დაეხატა.

ისიც ხატავდა — ბევრს და სწრაფად. ამბობენ, მომცრო სურათს ერთ საათშიო, დიდს კი ოთხიოდე საათს თუ ანდომებდა...

პურის ფული სჭირდებოდა. და ნიკალამ — ასე ეძახდნენ ნაცნობები — ფირნიშის მოსახატავი სახელოსნო გახსნა, მღებავობა დაიწყო. მაგრამ ფირნიშები უწარწერო არ იქნებოდა, ნიკალას კი წერა არ ეხერხებოდა, ასოების გამოყვანა უჭირდა. ამის ბრალი თუ იყო, რომ დამკვეთნი ნახატებს უწუნებდნენ — არ გაუმართლა, საქმე ჩაეშალა.

მაშინ ძმაკაცთან ერთად დუქანი გახსნა — თაფლითა და რძის ნაწარმით ვაჭრობდნენ. ძმაკაცი ხლაფორთობდა, საქმიანობდა, საქონელს შოულობდა სოფლებში. ნიკალა კი სათავსოს ალამაზებდა: კედლები თეთრად შეფეთქა, ძროხები დახატა — შავი, თეთრი და წითელი, ლაზათიანი ფირნიშიც გამოაკრა...

თავისდა საუბედუროდ დუქანი ისეთ უბანში გახსნეს, რომ მუშტარს ფული არასოდეს ჰყოფნდა — ღარიბი დედაკაცები ეტანებოდნენ, ნიკალა ყველაფერს ნისიად ატანდა... ორ თვეში გაკოტრდნენ, აბა რა მოუვიდოდათ...

ირემი

ერთხანს გამყოლად იმუშავა რკინიგზაზე... ახალი შთაბეჭდილებები ადრინდელებს დაემატა და როგორ უნდა დაეტია გულში ამხელა სამყარო, ის ხომ მეტისმეტად მკერდსუსტი და მხრებში მოხრილი იყო. თავის გადასარჩენად უნდა ეხატა და ეხატა! რაც შეიძლება უფრო მეტი!..

მართლაც, ბევრი დახატა. ძალიან ბევრი! ძველ თბილისში საყოფი იყო სარდაფები და დუქნები, მაშასადამე საყოფი იყო შეკვეთებიც მოხეტიალე მხატვრისათვის, მეტახელად „გრაფს“ რომ ეძახდნენ... ერთი თეფში წვნიანისა და ჭიქა ღვინისთვის ის სარდაფის მოჭვარტლულ კედელზე მშვენიერ „ირემს“ დახატავდა, ან ყაჯაჩოფერ ხალათში გამოწყობილ, ჭილოფის ქუდიან „მეთევზეს“, ან პატარა გოგონას ყვითელი ბუშტით...

მედუქნეები თვითონ უკვეთავდნენ ნახატების შინაარსს, იმათაც კი უსახელებდნენ ნაცნობთაგან, ვინც უნდოდათ სურათზე ყოფილიყო გამოსახული. სუფრას შემომსხდარი ხელოსანნი და ყარაჩოღელნი ცნობდნენ კედელზე გამოსახულ მოქეიფეებს, ისინი კი პირდაპირ სურათიდან მიმართავდნენ მათ: „კამპანიას გაუმარჯოს! კეთილი ცხოვრება, ღმერთმა ყველა გამრავლოთ!“ — სიტყვები სურათზე ეწერა ცაზე მონარნარე ფრინველებს შორის.

ძველ თბილისის დუქნები მეტწილად სარდაფებში იყო მოთავსებული, სადაც მკათათვის პაპანაქებაც ვერ ატანდა. ფიროსმანი ხატვისას ითვალისწინებდა მათ განსხვავებულ განათებას — ნავთის ლამპებისა ან სანთლების მოწითალო შუქს.

წარმოვიდგინოთ ასეთ განათებაში „დათვი მთვარიან ღამეს“... ვერცხლისფერარშიაშემოვლებული, თითქოს შარავანდედით მოსილი, მძიმე, შავი სილუეტი. ჩახუთულ-ჩაბურულ სარდაფში იგი ბუნებაში გამტვრეული სარკმელივით იყო, გრილი ჟანგბადის ულუპივით...

ხატვას რომ მორჩებოდა, ნიკალა „გასამრჯელოს“ მიირთმევდა, ორიოდე ჭიქა ღვინოს დააყოლებდა, ფუნჯსა და საღებავებს აკრეფდა და მიდიოდა. არავინ იცოდა, სად ცხოვრობდა ან რით იხდიდა ბინის ფულს ლატაკი „გრაფი“. მთელი ცხოვრების მანძილზე არ აუღია იმ ფულის მეათასედიც კი, რასაც მსოფლიოს მუზეუმები დღეს მის ნებისმიერ ნახატში იძლევიან.

ადრე დაობლდა. არ დაოჯახებულა. ქალი მხოლოდ ერთხელ შეიჭრა მის მარტოობულ ცხოვრებაში. მხატვარს მსახიობი შეუყვარდა — უცხოელი მოცეკვავე, რომელიც ორთაჭალის ერთ-ერთ რესტორანში ცეკვავდა. ქალს მარგარიტა ერქვა. ფრანგი იყო. ვინ იცის, რა ბედმა ან უბედობამ გადმოხვეწა საქართველოში! რუსულს ძლივს ამტვრევდა, ქართული კი სულ არ ესმოდა. მღეროდა კეკლუცც სიმღერებს და ცეკვავდა, პეპელასავით მსუბუქი და ნაზი.

მხატვარმა ხომ ფრანგული არ იცოდა. მაგრამ მშვენიერების ენას ფლობდა სავსებით. მან გადაწყვიტა ფრანგი ქალისათვის ყვავილები მიერთმია. შირაზის ვარდების თაიგული კი არა, არც დიდებული სპარსული იასამნის კონა. უნდოდა ისეთი თაიგული მიერთმია, როგორიც ქალს არასოდეს ენახა... მაგრამ ნიკალა ღარიბი იყო, ყვავილები კი ძვირი ღირდა...

ძმაკაცები მიუხვდნენ — თბილისელი ხელოსნები, ხელგაშლილი ყარაჩოღელები, მედუქნეებიც — თუ თვითონ გაანდო სურვილი!... ერთ მშვენიერ დილას, რაც ქალაქში და მის მიდამოებში ყვავილი ყვაოდა, ყველა მოცეკვავე ქალის ფეხთით მოჰფინეს. მოჰქონდათ თაიგულებად, კონებად, მოჰქონდათ ურმებითა და ფაეტონებით. ყვავილებით მოჰფინეს სადარბაზო, ტროტუარი, ქვით მოკირწყლული ქუჩა...

მარგარიტა საოცარმა სურნელებამ გამოაღვიძა. სარკმელში რომ გადაიხედა, იფიქრა, მესიზმრებაო, ერთხანს გონს ვერ მოვიდა. თითქოს ვიღაც ყოველისშემძლემ და კეთილმა შეიბრალა, როგორც იქნა, და მისი ფუუე, ერთფეროვანი ცხოვრება საოცარ ზეიმად აქცია!..

არა, მას არ დაურღვევია მხატვრის მარტოობა — ბედი არ ეწერათ! მაგრამ სამუდამოდ დარჩა მის სურათზე თეთრ კაბაში გამოწყობილი, ვარდებით ხელში, გოგონასავით სპეტაკი და უმანკო...

ნიკო ფიროსმანი აღდგომას გარდაიცვალა, 1918 წლის გაზაფხულზე. მისი საფლავი დაკარგულია. მაგრამ ქალაქმა არ დაივიწყა თავისი მხატვარი. ძველ უბანში, მეტეხის პირდაპირ, დგას მისი ძეგლი — სევდიანად ჩამუხლულ მხრებაწყრულ ბერიკაცს სუსტ მკერდზე უმწეო ბატკანი მიუხუტებია...

ისინი განუყრელნი არიან — თბილისი და მისი მხატვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათვი მთვარიან ღამეში

ანზორ აბულაშვილი-60

ძვირფასო ბავშვებო! **არა მგონია** დღეს საქართველოში ცხოვრობდეს ვინმე, **რომ** წაკითხული ან გაგონილი მაინც **არ ჰქონდეს** ეს სტრიქონები: „წუხელის ბიჭი დაბადებულა, გადაჭარბებად თუ არ ჩამითვლით, ისეთი **ბიჭი დაბადებულა**, დაურქმევიათ თურმე დავითი," — რის შემდეგაც პოეტი შორეული წარსულიდან გამოიხმობს საქართველოსთვის თავდადებულ მრავალ გმირ ვაჟკაცსა და ღვთიური ნათლით განათებულ მანდილოსანს... „წუხელის გოგოც დაბადებულა, ცის ნამი, ცისფრად ნაკამკამარი, ისეთი გოგო დაბადებულა, დაურქმევიათ თურმე თამარი."

ეს სტრიქონები თქვენი საყვარელი ჟურნალის — „დილას" **ერთ-ერთი** ღვაწლმოსილი მუშაკის, ცნობილი პოეტის **ანზორ აბულაშვილის** ლექსიდანაა ამოკრეფილი და, **ჩემი აზრით**, თანაბრად ესალბუნება ყოველი ასაკის **მკითხველს**.

ანზორ აბულაშვილი კარგახანია გამომცემლობა
კადულის" ლიტერატურულ-კრიტიკული და ბიბლიო
ფიული კრებულის — „ჯეჯილის" მთავარი რედაქტ
და ისევე, როგორც წინათ, ჟურნალ „დილაში" პასუ
მგებელ მდივნად მუშაობისას, ცდილობს ფართოდ
უთმოს ასპარეზი საყმაწვილო ლიტერატურის პრო
მებით დაინტერესებულ ნიჭიერ მწერლებს, კრიტ
სებს, ახალგაზრდა შემოქმედთ...

როგორც პოეტმა, მან ჯერ კიდევ სტუდენტობის
იდან მიიქცია ყურადღება. დასტამბული აქვს ლირი
თუ საბავშვო ლექსებისა და პოემების არაერთი
ბული. ასე რომ, შეიძლება თამამად ითქვას, ექვსი
ული წლის წინათ ეს კაცი მამულისათვის კეთილ
ქმეთა საკეთებლად დაბადებულა...

ბავშვებო, თქვენს თანატოლებთან ერთად მის
გობრებიც ვუსურვებთ, დაე, მომავალი თაობების ს
დოდ კიდევ დიდხანს, დიდხანს და საკეთილდ
ეცოცხლოს და ეღვაწოს ჩვენს საყვარელ იუბილ

გივი ჯიჯ

გამოსაღვიძებელი

რადა დროს ტკბილი ნანაა
ხმამოღუღუნე ძიძების.
ავი ტაროსი დამდგარა,
ჟამი დგას გამოღვიძების.
კვლავ უმრავლია ქართლის ჯირს,
ავის მოსურნეს მამულის.
მუმლს უნდა ძლევა მუხისა,
უშვას — ველურთა არული.
გადარწეულან აკვნები
მტრის სულის შიშით გამთანგი,
ჰა, დევის ღონით იდვიძებს
დავითი, ცოტნე, ვახტანგი.
წამოიძრთეთ გმირებო,
ახლა ისეთი ხანია,
მტრის ჩვენს მიწაზე ლადობა
ვეღარც რა ასატანია.
დჭრიალებენ აკვნები,
იმუქრებიან აკვნები...
არვინ იზრდება — სამშობლოს
ლაშქარში გამოსაკლები.
და მაინც იქნებ მტრობის წილ,
როცა ცრემლით მღერთ ნანინას,
ლელო — უგუნურთ შეტკბობით
ძველებურ გაგვატანინა.

მოხერხებული ძაღლი

ესაო და მესაო,
მივვეთ თხრობის წესსაო,
ერთ მშვენიერ გაზაფხულზე,
ერთ მშვენიერ დღესაო,
ერთი ცხვარი წაბაკუნდა,
შეერია ტეესაო,
რა თქმა უნდა,
უღრანი ტეე
აბარია მგელსაო,
არც მას დაუგვიანია,
თვალი ავად ჰკვესაო:
— ახლა სადღა გამექცევი,
დაგიბნელებ მზესაო! —
მაგრამ დახეთ,
ამბავს ვეტეკვით
მართლა საკვირველსაო:
უცებ იმ ცხვრის — ქოფაკივით
ეეფა შესძრავს ტეესაო,
მწამს ცხვრის ტეავი გადაიძრო,
კბილი გაილესაო...
მგელმაც ძალი მოიცა და,
მართლაც ფერი ფერსაო,
მაგრამ ეურშა უმლეველი
აღარ აცლის ბევრსაო,
რაც იმ მგელს დღე დააწია,
ის შავი დღე მტერსაო,
კბილი ეელში გაუარა
ფარის შიშისმგვრელსაო.
მწყემსებმა კი სიხარულით
ქუდები ჰკრეს ჯერსაო.

მხატვარი **ვაჟა ჟურხული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

 აი, რას გვასწავლიდნენ ჩვენი კეთილი წინაპრები, თქვენი — ბავშვების ერთგული ადამიანები... მათი აზრის გამონაშუქი დღესაც გინათებთ გზასავალს — თქვენ ოღონდ მოინდომეთ ამ გზით სიარული... თქვენ ოღონდ იმედი არ დაკარგოთ არანაირ გასაჭირში...

იაკობ გოგებაშვილი

„სწავლა, ცოდნა და მეცნიერება! — აი, წამწამედელი ყოვლის უთანხმოებისა, დამდგენელი ყოვლის ერთობისა, ამამაღლებელი ადამიანისა! აი, ჭირთა ამხდელი სახსარი, კეთილდღეობის მომფენი ღონისძიება. სწავლა, ცოდნა და მეცნიერება ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალი მოგერიებისათვის“.

ნიკო ლომოური

იყო გრილი, მშვენიერი გაზაფხული. ამწვანებულ ველ-მინდორს გაჰქონდა მწვანედ ღაღანი; ზამთრისგან გაყვლეფილი ხეები საამურად იმოსებოდნენ ნორჩი, ლამაზი ფოთლებით. ლურჯი, არა ხშირ დრუბლიანი ცა რაღაც იმედიანად იცქირებოდა ზემოდან. ნოტიო, გრილი ჰაერი თითქო კოკისპირულად გვასხამდა საიდანღაც ძალას, სიხარულს და შრომის სურვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეოგონება

გიორგი ჭალადიდელი

თეიდო რაზიკაშვილი

გიუვარდეს სწავლა, გულმოდგინება,
შრომა და ტანჯვა ნუ გეზარება,
თუ შენი შრომა და შენი ტანჯვა
სამშობლოს რადმე გამოადგება.
ეცადე ძლიერ და გქონდეს სმენა, —
კარგია, შვილო, სწავლის შეძენა, —
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო,
არ დაივიწყო სამშობლო ენა.

მხატვარი ზაურ დეისაძე

— რამ გადააგვარა ამისთანა ბედაური მსხალი!

— კაცო და ეს ფითრი რო შესხმია, რატომ არ უპატრონე, მაგახე მეტად რა აფუჭებს ხეხილსა? ვისაც კი თავის ხეხილი უყვარს და ეზოგება, განა ფითრს დააყენებს ხეებზე? გადაკრიფე დაზიანებული ფითრიანი ტოტები, სხვა ნორჩს აიყრის და გადახალისდება. ისევ ისეთ ხილს მოისხამს, როგორც წინათ, — ურჩია მეზობელმა.

კაპ! კაპ! კაპ! კაპ! — მოისმოდა ცოტა ხანს შემდეგ ფიდონას ბაღიდან ცულის ხმაურობა.

„ახლა კი დაითვლება ჩემი დღეებიო, — ფიქრობდა მსხალი, — აღარ ფერი მიხსნის!“ დახუჭა თვალები, თითქო არ უნდა სიკვდილის თვალით დანახვაო. თავისთავი მკვდრად მიაჩნდა.

მაგრამ აგერ, აგერ ძირიდან, მიწის ჯურღმულიდან, რაღაცა ხმაურობა და დუდუნი მოესმა, რომელსაც თანდათან უფრო და უფრო არკვევდა.

— ჩვენ ისევ ცოცხლები ვართ, არ მოვკვდებით, ჩვენამდე ჯერ სიკვდილს არ მოუღწევია, სასოებას ნუ ჰკარგავო.

იძახოდნენ თურმე ფესვები, ისინი ისევ ღონიერი, ძლავრი, ძრავალნი, უთვალავნი იყვნენ, თავისთვის ჩუმად ბნელს, უმზეო, ოვალჩაუხედველ უკუნში მიმალულ-მიჩქმალულნი, მსხალს ახალ-ახალი ტოტებისთვის საჭმელ-საზრდოს უმზადებდნენ და აწვდიდნენ.

რას ტირის ყვავი ყვანჩალა

გივი ჭიჭინაძე

— ყვაა-ყვაო! — ხეზე
რომ ისვენებს
დაღლილი ფრენით,
— ყვაა-ყვაო! — ნეტავ
რას ტირის ყვავი
ნახშირისფერი?
— შარშან ტეისპირას,
აქვე, ახლოს,
ლაპლაპა ცელით
რომ გადაჯეგეს
და გათიბეს
მინდორი ვრცელი...
— ყვაააო! — ყვანჩალას
თვალებიდან
კვლავ წასდა ცრემლი... —
— ნარ-ეკალთან და
ბალახთან ერთად
იმ ბახრი ცელით
ყვაა — ყვავილებსაც,
ჭრელ ყვავილებსაც
გაპოსჭრეს ყელი!

ახტაჯანას გასეირნება

ქეთინო ფხოველიშვილი

გათენდება, მზის შუქით განათდება ჩვენი ოთახები. მთელი ოჯახი ავიშლებით. ჩავიცვამთ. დედა და მამა სამსახურში წასასვლელად იწყებენ მზადებას, მამიდა სამზარეულოში შედის საუზმის გასაწყობად. მე, პირდაუბანელი, თმააბურძგნული, გამოვვარდები გარეთ ცივა თუ ცხელა, და მაშინვე მეზობლის გოგოს ფოთოლას გადავძახებ. ისიც მოირბენს და მერე მთელი დღე აღმა-დაღმა დავრბივართ ეზოში, ჭამისთვის თუ შევალთ სახლში.

დედა მე არაფერს მეუბნება, მხოლოდ წასვლამდე რამდენიმეჯერ ეტყვის მამიდას, ეს ბავშვი ეზოს გარეთ არ გაუშვა, ჭიშკარი კარგად ჩაკეტე, წიგნიც ასწავლეო. დედამ მამიდას იმედით, ბაღშიც არ მატარა, არავის ანდობდა ჩემს თავს.

ამ ზაფხულს მამიდა წიგნის შესასწავლად მომეძალა. როგორც საქმეს მორჩება, გამოვა ეზოში, დაჯდება ჩვენი დიდი თუთის ძირას, წიგნს გადაშლის და იტყვის: — ახლა გეყოფა, მოდი ჩემთან, გვერდით დამიჯექი და ეგ ბავშვიც დაასვენე, ცოტა წიგნიც ისწავლე. ვის გაუგონია ასე მთელი დღე სირბილი!

მე ისე ვიჭერ თავს, თითქოს არ მესმის მისი თხოვნა და თამაშს ვაგრძელებ. ერთ დღეს მამიდა ძალიან გაბრაზდა და მითხრა:

— ახლა უკვე სულ მალე სკოლაში უნდა წახვიდე, ისწავლე რამე დროზე. რას იტყვის მასწავლებელი, ასეთი უცოდინარი რომ იქნები?! ამდენ ხანს ამ ტოტებზე ჩამომსხდარ ფრინველებთან რომ მელაპარაკა, ისინი გაიწვრთნებოდნენ და ისწავლიდნენ რამეს. რა ეშმაკი დაგემართა, შე ოჯახაშენებულო, ადამიანი არა ხარ?!

— როდის იყო, ფრინველები იწვრთნებოდნენ და ლაპარაკობდნენ?

— ტელევიზორში მაინც არ გინახავს, გოგო? თუმცა, როგორც წიგნს, არც მაგას ეკარები და საიდან გეცოდინება!

ის იყო დავფიქრდი, რომ ფოთოლამ წამჩურჩულა:

— ეგ სულ ტყუილია, ნინო, არ დაიჯერო, ტელევიზორში ადამიანები ლაპარაკობენ ფრინველების სახით.

— შენ ვინ გითხრა? — ეკითხე ფოთოლას.

— ვინა და ჩემმა ძმამ.

ფიქრით თავი აღარ გადამიტვირთია, ჩემს მეგობარს დავუჯერე და მისი ნათქვამი სიტყვა-სიტყვით გავძახე მამიდას. მამიდამ წიგნი დინჯად დახურა, ფეხზე წამოდგა და მითხრა:

— თუ დამჯერი და ჭკვიანი იქნება, ფრინველიც გამოვა ნასწავლი, და ადამიანი კი, შენისთანა ახტაჯანა და ჯიუტი, ვერაფერს ისწავლის...

სადამოთი, როცა სახლში ვახშამზე ყველა შეკრებოდით, მამიდამ თქვა: ხვალ თბილისში



მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**

მინდა წასვლა, პატარა საქმე მაქვს და ნინოც თან მინდა წავიყვანო: ზაფხულია, ჯერ დღე დიდია. შებინდებამდე დავბრუნდებით.

დილით ადრე მე და მამიდა ცისფერი ავტობუსით ქალაქისაკენ მივქროდით. მალე მადალი შენობები და დიდი მდინარე გამოჩნდა. ჩვენი ავტობუსი ფერად-ფერად მანქანებს ძლივქლივობით უქცევდა მხარს. ქალაქში დრმად რომ შევედით, მამიდამ მძღოლს ავტობუსი გააჩერებინა და ჩავედით, ერთმანეთს ხელი მოვკიდეთ და სეირნობით გავუყევით ქუჩას.

ქუჩა რომ ჩავთავეთ, რკინის ჭიშკარს მივადექით. მამიდამ თქვა:

— აქ ზოოპარკია. სხვადასხვა ჯიშის ფრინველები და ცხოველები ჰყავთ.

იქვე ფარდულში ბილეთები ვიყიდეთ, კონტროლიორს გადავეცით და შევედით. შესასვლელის ახლოს ერთ გალიასთან ბევრ პატარას მოეყარა თავი; ხარხარებდნენ. ჩვენც იქ მივედით.

გალიაში ქანდარაზე კარგა დიდი წითელი თუთიყუში იჯდა და დაბლა იცქირებოდა. წინ ხელგადახვეული მოხრდილი გოგო და ბიჭი იდგნენ.

— მამია, ჩამოდი დაბლა, — უთხრა ბიჭმა თუთიყუშს.

— არა! — სხარტად უპასუხა თუთიყუშმა.

— ჩამოდი დროზე, — გაუმეორა ბიჭმა, — რადაც უნდა გითხრა ყურში.

თუთიყუში ქანდარას მოსწყდა, დაბლა დაეშვა და გალიის მავთულებს ყური მიადო. ბიჭმა ყურში რადაც ჩასჩურჩულა და თუთიყუშმა მაშინვე გაიმეორა: — ნათია, მიყვარხარ!

ბავშვებმა ისევ ატეხეს ხარხარი. ბიჭმა ჯიბიდან ორცხობილა ამოიღო და შიგნით შეუყარა თუთიყუშს. ბიჭი და გოგო წავიდნენ. თუთიყუში კი გეშრიელად შეექცეოდა ორცხობილას, მაგრამ ბიჭის ხმა რომ ვედარ გაიგონა, ჭამა მიატოვა, იქაურობა მიათვალ-მოათვალიერა და იკითხა:

— წავიდა?

— წავიდა, მამია, წავიდა, — უპასუხეს ბავშვებმა. ამ დროს მიმავალმა ბიჭმა გამოსძახა: — ნახვამდის, მამია!

— ნახვამდის! — გასძახა თუთიყუშმა, ქანდარაზე აფრინდა და ფრთებით ნისკარტის გასუფთავება დაიწყო.

გაოგნებული შევყურებდი მამია თუთიყუშს. როცა მივიხედ-მოვიხედე, ჩემს გარშემო ადარავინ იყო, მხოლოდ მამიდა იდგა და ღიმილით მიყურებდა. შერცხვენილი გავიქეცი და მამიდას მუხლებზე შემოვეხვიე. გუნებაში გავივლე, ნეტავი, ფოთოლა აქ იყოს-მეთქი.

მეორე დღეს დილით, როგორც კი ჩვენს ფანჯარაში მზემ შემოანათა, წამოვხტი, პირი დავიბანე, თმა დავივარცხნე, სუფთა ტანსაცმელი ჩავიცვი, გარეთ გავედი და სარკმლიდან შევძახე მამიდას:

— მამიდა, გელოდები! საქმეს რო მორჩე, წიგნი მასწავლე.

დედამ გამომხედა და ჩაილაპარაკა:

— რა გუნებაზე ადგა ამ დილას ეს გოგო?!

— ასე სჯობია ბავშვისათვის; თავისი თვალით უნდა ნახოს ყველაფერი, — უთხრა მამიდამ დედას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიმია

ზოთა ხოდაშნელი

დადის, თითქოს მის მეტი
აქ არავინ არ არი:
კითხულობენ — ვისია
ეს ბღენძია მამალი?
ამ კარიდან გამოვა,
გაჩერდება იმ კართან,
გუშინ ბიჭო გოგალოს
ხელში ჩაუნისკარტა...
უღაღაუებს ბიბილო,
დაულესავს დეზები...
ლამაზ კისერს იღერებს,
ეივის თავგამოდებით...
დააბიჯებს ამაოდ,
ვერას აკლებს ფინია...
— ფინიასი კი არა,
მგლისაც არ მეშინია... —
ნირს ვერ შეაცვლევინებ,
ლხინია თუ ჭირია...
გაიცანით, ბავშვებო,
მამლაინწა — ჭიმია...

მხატვარი **მიროლი ჩარკანიძე**



შრგება

თუნდ თაგვებმა შეჯამონ,
თუნდ ფრინველმა გაზიდოს.
მოულხინონ ერთიან
მაღლა ჩხებს და აკიდოს,
საქათმე რომ მიჰქონდეთ
მელაკუდას და ტურებს, —
სქელ გრილოში მმინარე
ეურს არ გააპარტეუნებს.
გასაჯირში ბასარა
რადგან არვის არ შეელის,
ურგებასაც ამიტომ
ემახიან ბავშვები.

F 6049

საქართველოს ეროვნული



ნიშა

ნორა ტატიაშვილი

ბაბამ ბოჩოლა მაჩუქა,
სახელად ნიშა დავარქვი,
ბებოს წინხაფარს ღეჭავდა,
სულ ძალისძალით წავართვი,
დავტუქსე — არა გრცხვენია?
ნიშავ, ეს რა გიქნიაო?!
გვთქვა და ნამცხვარს გაჭშეედი,
ასე ძლიერ თუ გშიაო.

როგორ გაჩნდა მთვარე და ვარსკვლავები

ილია ფიკლაური

დიდი ხნის წინათ ერთ სოფელში ცხოვრობდა ღარიბი ცოლ-ქმარი. ერთადერთი შვილი ჰყავდათ, პატარა ბიჭუნა. ერთხელ ქმარი მთაში წავიდა თივის დასამზადებლად. ცოლმა მთელი დღე მუხლჩაუხრელად იმუშავა. ოჯახის საქმეებს რომ მორჩა, მზეც ჩავიდა და საღამოს ბინდი გადაეფარა არემარეს. ქალი წისქვილში იყო წასასვლელი ხორბლის დასაფქვავად. ბავშვს ხომ ვერავის დაუტოვებდა, თან უნდა წაეყვანა. აიღო ხორბლით სავსე ტომარა, ზურგზე მოიკიდა; ჯიბეში ცერცვის მარცვლები ჩაიყარა, შვილს ხელი ჩაჰკიდა და წისქვილისაკენ გასწია. წისქვილი შორს იყო და დედა-შვილს დაადამდა. ბავშვს შეეშინდა და ხმამაღლა ღრიალი მორთო. დედა ჯიბიდან ცერცვის მარცვლებს იღებდა და შვილს აჭმევდა, რომ როგორმე დაეშოშმინებინა. ცერცვიც რომ შემოელია და ბავშვი ვერაფრით ვერ დაამშვიდა, ხორბლით სავსე ტომარა ძირს დადგა, პირი გაუხსნა, ერთი მუჭა ხორბალი ამოიღო და მაღლა შეისროლა, მარცვლები ძირს რომ დაცვივდება, იქნებ ატირებული ბავშვი გახალისდესო. მაგრამ მოხდა სასწაული, მაღლა ასროლილი ხორბლის მარცვლები აენთნენ, ცას შეერივნენ და ზეცა მოციმციმე ვარსკვლავებით მოიჭედა. ამ სილამაზით მონუსხულმა ბავშვმა ტირილი შეწყვიტა. დედამ ჯიბეში ხელი მოიფათურა, შიგ ჩარჩენილი ერთი მარცვალი ცერცვი იპოვნა და ისიც მაღლა შეისროლა, ცერცვის მარცვალი ყვითლად მოელვარე მთვარედ გადაიქცა და ღამეული ტყე გააშუქა. ბიჭუნა გამხიარულდა, გახალისდა, გამხნევდა.

დედამ ხორბლით სავსე ტომარა ისევ ზურგზე წამოიკიდა და წისქვილისკენ გზა განაგრძო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსუქანა

ტარიელ ჯანტურია

შიმშილობს კიდეც ერეკლე,
ვარჯიშობს კიდეც ერეკლე,
სულ ფეხით დადის ერეკლე —
მაინც წონაში ვერ იკლებს!

პატარა დიასახლისი

ეფაზარ კვიტაიშვილი

ნამცხვარი რომ მიირთვით, —
იბუტება ქეთო, —
ჩემი გამომცხვარია,
რად არ შემაქეთო.

გამოცანა

ეფთერ გოფაძე

თავს ეაბალახი უმშვენებს,
ტანთ შავი ჩოხა აცვია,
შენ! ბაწაწინა მებაღევ,
ამ ბიჭს ბოსტანში რა ჰქვია?

რატომ?

ზზია ჩხეტიანი

— რატომ ტირის
წვიმის წვეთი?
— ვინ გაიგებს
წვიმის მეტი?
— როგორ?
მოჰვა ლელა სიცილს,
— მუნჯის ენა
დედამ იცის!

მხატვარი ბესო ხიდაშელი

პორტუგალია საზღვაო სახელმწიფოა. მდებარეობს ევროპის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში; უჭირავს პირენეს ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილი და აზორისა და მადეირას კუნძულები ატლანტის ოკეანეში, რომელიც მას აკრავს დასავლეთით და სამხრეთით. მისი დედაქალაქია ლისაბონი.

იქნებ ზოგს გაგიგონიათ დიდი პორტუგალიელი მოგზაურის ვასკო და გამას სახელი. XV საუკუნის ბოლოს მან აღმოაჩინა საზღვაო გზა ინდოეთისაკენ, რამაც პორტუგალიას გზა გაუხსნა აფრიკის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისაკენ.

პორტუგალიას, როგორც ყველა კულტურულ ქვეყანას, აქვს თავისი ლიტერატურული ტრადიციები. ხალხის ზეპირსიტყვიერებაში ასახულია პორტუგალიის ისტორიული წარსული. შემონახულია ხალხური ლექსები, ეგრეთ წოდებული კოსანტები, და, რა თქმა უნდა, ზღაპრები, რომელთაგან ერთ-ერთს ახლა წაიკითხავთ.

ლინდა ბლანკა

ცხოვრობდა ერთი მდიდარი ქვრივი კაცი. ერთადერთი ასული ჰყავდა, სახელად ლინდა ბლანკა. ისეთი ლამაზი იყო, ყველას უყვარდა, რაც მას ძალიან აწუხებდა. ერთ დღეს მამას სთხოვა, ბრინჯაოთი მოსირმული ცისფერი კაბა მიყიდეო. უყიდა მამამ კაბა. შემდეგ ვერცხლის სირმამოვლებული ცისფერი კაბა მოსთხოვა. ისიც უყიდა. ბოლოს, ოქრომკედით ნაქსოვი ცისფერი კაბა ინატრა და მამამ ეს თხოვნაც შეუსრულა. ლინდა ბლანკას ერთი ჯადოსნური ჯოხი ჰქონდა, უბრძანა ჯოხს, სანე დამიმახინჯეო, მერე ძველმანებში გამოეწყო და გზას გაუდგა. ერთ დღეს მეფის სასახლეს მიადგა. მეფე უცოლო იყო, დედამისს კი მოსამსახურე სჭირდებოდა და ლინდა ბლანკა მოახლედ აიყვანა. მალე დედაქალაქში დიდი სამეფიანი დღესასწაული დაიწყო. გოგონამ დედოფალს დღესასწაულზე წასვლის ნებართვა სთხოვა, მან კი თავის ვაჟთან — მეფესთან გააგზავნა ნებართვისათვის. ლინდა ბლანკა მაშინ შეეიდა მეფის ოთახში, როცა ის ფეხსაცმელს იცვამდა. გოგონას თხოვნა რომ მოისმინა, მეფე განრისხდა, გამეცალე, თორემ ფეხსაცმელს გესვრიო, უყვირა.

დაბრუნდა ლინდა ბლანკა თავის ოთახში, ჯადოსნურ ჯოხს უბრძანა, ძველი სანე დამიბრუნე და ეტლი გამიმზადე, დღესასწაულს უნდა დავესწროო. გამოეწყო ბრინჯაოთი მოსირმულ კაბაში და ქა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ილუსტრაცია **მანანა ბერიკაშვილისა**

ლაქში წავიდა. მეფე და მისი მეგობრები აღფრთოვანდნენ გოგონას სილამაზით. საღამოს მეფე მიუახლოვდა ლინდა ბლანკას და ჰკითხა, რომელი ქვეყნიდან ბრძანდებითო.

— ფეხსაცმლის ქვეყნიდან ვარ. — უპასუხა გოგონამ და გაიქცა.

მეფე სასახლეში რომ დაბრუნდა, გოგო უკვე დედოფალთან ოჯდა.

გოგონამ მეორე დღესაც სთხოვა მეფეს დღესასწაულზე დასწრების ნებართვა.

— გამეცალე, თორემ შოლტი მოგხვდებაო, — დაემუქრა მეფე.

გამოვიდა მეფისაგან ლინდა ბლანკა, დაიბრუნა ძველი სახე, ჩაიცვა ვერცხლის სირმით ნაქარგი კაბა და წავიდა საცეკვაოდ. საღამოს ისევ მიუახლოვდა მეფე და ჰკითხა, რომელი ქვეყნიდან ბრძანდებითო.

— შოლტის ქვეყნიდანა ვარ. — უპასუხა გოგონამ და გაიქცა.

მესამე დღეს დღესასწაულზე წასვლის ნებართვის სათხოვნელად მისულ გოგოს მეფე პირსახოცით დაემუქრა, დღესასწაულზე კი ოქრომკედით ნაქსოვ ცისფერ კაბაში გამოწყობილი გოგონასაგან, პირსახოცის ქვეყნიდანა ვარო, — მოისმინა პასუხად.

მეფე ვერაფერს მიხვდა და დაღონდა. დარდის გასაქარვებლად მეგობრები მიიწვია სასახლეში. ერთ დღეს, როცა სტუმრები სასახლის ბაღში სეირნობდნენ, ლინდა ბლანკამ პირველი კაბა ჩაიცვა და ფანჯარაში გადმოდგა. მეფის **მეგობრებმა** თვალი მოპკრეს და დაინტერესდნენ, ვინ არის ის მშვენიერი ასული. მაგრამ მეფემ რომ ზემოთ აიხედა, ფანჯარაში აღარავინ იდგა. გამოიძახა ლაქია და ჰკითხა, უცხო სტუმარი ხომ არავინ გეწვევიაო.

— სახლში უცხო არავინ არის, მხოლოდ მოსამსახურეები ვართო, — უპასუხა ლაქიამ.

მეორე დღეს მეორე ტანსაცმელში გამოწყობილმა ლინდა ბლანკამ აივანზე გაიელვა. ამჯერადაც მხოლოდ მეფის მეგობრებმა შეასწრეს თვალი. ეძებეს სასახლეში უცხო ქალი და ვერავინ მიაკვლიეს.

მესამე დღეს, თვალებად ქცეულმა მეფემაც დაინახა ოქრომკედით ნაქსოვ კაბაში გამოწყობილი მშვენიერი ასული, მიირბინა მასთან და უბრძანა, ყველაფერი აეხსნა. დაემორჩილა გოგონა და თავის ამბავს მოუყვა. მეფემ გადაწყვიტა ცოლად შეერთო ლინდა ბლანკა და სამდღიანი ქორწილი გადაიხადეს.

ესპანურიდან თარგმნა **თეა გვასალია**

რატომ არის გაბრაზებული ღორი ძაღლზე, ძაღლი კატაზე კატა კი თაგვზე

ლასლო ორონი

ერთხელ ღორმა ძაღლის ტყავზე დაწერილი თავისუფლების სიგელი მიიღო. თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა, თან დაატარებდა და არსად არ ტოვებდა; ერთ დღეს ღორი შორეულ მხარეს უნდა გამგზავრებულიყო და არ უნდოდა თავისუფლების სიგელის თან გაყოლება. იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, ყველაზე ახლო მეგობრისათვის — ძაღლისათვის მიებარებინა. ძაღლი კარგა ხანს ერთგულად სდარაჯობდა თავისუფლების სიგელს, მაგრამ უეცრად რაღაც საქმე გამოუჩნდა — აუცილებლად უნდა წასულიყო, და საგონებელში ჩავარდა, არ იცოდა, რა ექნა. მერე გადაწყვიტა, კატისათვის დაეტოვნებინა შესანახად.

ერთხანს კატაც ერთგულად სდარაჯობდა სიგელს, მაგრამ მალე მოსწყინდა და მეზობელთან ლაპარაკით თავის გართობა მოუნდა. იფიქრა, ვისთვის მიებარებინა თავისუფლების სიგელი, მაგრამ არავინ ეგულებოდა. ბოლოს სხვენში აიტანა და იქ დამალა.

საღამოხანს კატა შინ დაბრუნდა და სხვენზე ავიდა, რომ თავისუფლების სიგელი წამოეღო, მაგრამ სიგელი იქ არ დაუხვდა. აქეთ ეცა, იქით ეცა და ბოლოს ნახა, რომ თაგვებს დაეღრღნათ და ნაფლეთებად ექციათ.

როდესაც ძაღლი დაბრუნდა და თავისუფლების სიგელი მოიკითხა, კატამ ვერაფერი ვერ უთხრა; ძაღლმა კი შინ დაბრუნებულ ღორს ვერ გაუსწორა თვალი.

აი, სწორედ ამ შემთხვევის მერეა, რომ ღორი კარგი თვალით არ უყურებს ძაღლს, ძაღლი კატას, კატა კი თაგვს.

უნგრულიდან თარგმნა ვანო იმერლიშვილმა

მხატვარი: თამარ გელიქიშვილი

КОНТРОЛЬНЫЕ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გისოსებიდან

გიორგი ფერეთელი

ეკვაილია ლამაზი,
უეკარს წვიმა ქუქუნა,
იის თვალს აქუქუნებს,
ჰქვია . . . . . .

კაფოთვლამდე ხემაგარა
ძოეკითალო ეკვაილს ისხაშს,
ნაოფი რომ ორ ფრთას გაშლის,
გადასაფრენ ზღაბრულ ჩიტს ჰგავს.
ისე ღვივის ბაღში ეს ხე,
ვით ბუხარში ნაკეერჩხალი,
სხვადასხვა დროს სხვა ფერს იღებს,
ფერი დაჰკრავს ნეკერს ქღალი,
ამიტომაც ჰქვია თურმე
ხემაგარას . . . . . .

ქაახიან: ოსურადას,
უსურვაშს და ციცაბარდას,
იმის ლერწებს თუ გაჰკეკი,
დაგიკარგაეს მისამართსა,
რასაც მისწვდა, ეკელაფერი
ეკვაილებით გადაბარდს,
ხეზე შედის კატასავით
კიდეც ჰქვია . . . . . .

თაკქოჩრიან ამ ეკვაილს
არაფერი ასურავს,
სამი ფოთლის ეურს ცქვიტავს,
კიდეც ჰქვია . . . . . .

მთავარი რედაქტორი **თენგიზ ჩალაური**
რედაქტორის მოადგილე **ფოთა ხოდაშვილი**

პასუხისმგებელი მდივანი **ციცინო გაფყრელიძე**
განყოფილებები: პროზის (დ. წოწორიძე), პოეზიის (შ. ქალდანი), წერილების (მ. კვაჭანტირაძე), მისალები (მ. გიორგაძე).
ყოველთვიური ჟურნალი უმცროსკლასელებისათვის საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა «სამშობლო». მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, მ. კოსტავას ქ., № 14. ტელეფონები 93-41-30, 93-10-32.

სამხატვრო რედაქტორი **გიორგი როინიშვილი**
ტექნიკური რედაქტორი **ენდი ფერეთელი**

გამოდის 1904 წლიდან.
გადაეცა ასაწყობად 17.06.92. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.08.92. ქაღალდის ზომა 60X90 1/8. ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 30 000 შეკვეთა № 1048.

ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლილის" საბავშვო ალბომი

მარიკა გიორგაძე
11 წლის
«გოგონა»

მარგალიტა შაქარაშვილი
6 წლის
«ნატურმორტი».